განკარგულება:**g-81.81220892**
თარიღი:**30/03/2022**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №16

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ცაგერის მუნიციპალიტეტში 2022 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების საფუძველზე,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

მუხლი 1.

1. მოწონებული იქნას, ცაგერის მუნიციპალიტეტში 2022 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებებლი პროექტები:

ა) სოფელ წიფერჩის საბავშვო ბაღის მშენებლობა.

ბ) სოფ. ორბელის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია.

გ) ლასურიაში-დეხვირის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის მე-2 ეტაპი.

დ) სოფ. ქულბაქში საბავშვო ბაღის მშენებლობა.

ე) სოფ. ლაჯანაში „კინიშერის“და მახარობლიძეების უბანში რკ/ბეტონის გზის რეაბილიტაცია.

ვ) სოფ. ორბელის „ლაშითავის“ უბანში რკ/ბეტონისგზის საფარის მოწყობა.

ზ) სოფ. ორბელის „ქოლბანის“ უბანში რკ/ბეტონის გზის საფარის მოწყობა.

მუხლი 2.

ნება დაერთოს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს, პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტების განხორცელების შესახებ წინადადება წარადგინოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და

ინფრასტრუქტურის სამინისტროში.

მუხლი 3.

დაევალოს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს 2022 წლის ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაბამისი მუხლიდან განახორციელოს პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტების თანადაფინანსება და საჭირო სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება.

მუხლი 4.

განკარგულება შეიძლება გასაჩივდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ცაგერის რაიონულ სასამართლოში, რუსთაველის ქუჩა N69.

მუხლი 5.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი